IV

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2011

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

დავალებების ერთი ნაწილის შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედი მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

I და II ნაწილების შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ტესტის ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.
ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება - ორი დავალებისაგან შედგება.
უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც** და **ბ) წერითი დავალებაც**.
შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.
წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია რამდენიმე გვერდი.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(4) **1. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.**

ა) გათოშილი. ბ) განიერი. გ) გაყინული. დ) თბილი. ე) მაგარი. ვ) მკაცრი. ზ) მცხუნვარე. თ) სქელი. ი) ფართო. კ) ხშირი.

ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე (1)<u>რბილი</u> კლიმატია. ანტარქტიდას ყველაზე (2)<u>თხელი</u> ყინულოვანი ფენა აქვს. არქტიკას წრიულად ერტყმის გარს ტუნდრა. მის თვალუწვდენელ სივრცეში მცენარეები მხოლოდ ზაფხულში ჩნდება, მაშინ, როცა ნიადაგი მიწის ზედაპირზე არის (3)<u>ცივი</u>, ხოლო სიღრმეში – (4)<u>გამლღვალი</u>.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების **შესაბამისი ნომრების გასწვრივ** მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
2.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
3.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
4.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

(7) **2.**

ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. რამდენიმე წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, რამდენიმე წინადადება კი უშეცდომოა.

თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	II უშეცდ.
1. ასტრონომიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ალექსანდრიელმა მეცნიერებმა.	☐	☐
2. ისინი რამდენიმე საუკუნეების განმავლობაში კუთხის საზომი ხელსაწყოს გამოყენებით აკვირდებოდნენ პლანეტებს.	☐	☐
3. ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ცნობილმა ალექსანდრიელმა ასტრონომმა ჰიპარქემ შეადგინა 1000-ზე მეტი ვარსკვლავის კატალოგი.	☐	☐
4. ჰიპარქემ ისინი სიკაშკაშის მიხედვით დაჰყო პირველი და მეორე სიდიდის ვარსკვლავებად და განსაზღვრა ცაზე მათი მდებარეობა.	☐	☐
5. იგი ფიქრობდა, რომ ყველა ვარსკვლავი დედამიწიდან თანაბარი მანძილითაა დაშორებული და მათ ერთმანეთისაგან მხოლოდ სიკაშკაშე ანსხვავებს.	☐	☐
6. ეს სხვაობა მას ვარსკვლავის ზომაზე ეგონა დამოკიდებული და ამიტომ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებს პირველი სიდიდისა უწოდა.	☐	☐
7. ჰიპარქემ სწორად განსაზღვრა მთვარის ზომები და თითქმის ზუსტათ გამოიანგარიშა მზის წელიწადის ხანგრძლივობა.	☐	☐

(14) **3.** ტექსტში დაშვებულია **13** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. ***გაასწორეთ*** ეს შეცდომები და ხარვეზები და გადაწერეთ ტექსტი ისე, რომ მასში ***არც ერთი სხვა ცვლილება*** არ შეიტანოთ.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 14 ქულა. ***გაითვალისწინეთ,*** ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

სანამ მტკვარი ჯებირებში მოექცეოდა დედაქალაქში რამდენიმე დიდი თუ მცირე კუნძული იყო, რომელიც თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა. მათ შორის სიდიდით გამოირჩეოდა ვორონცოვის ხიდთან მდებარე კუნძული. იგი ბევრი ხნის განმავლობაში ორბელიანების საკუთრება იყო.

მე-19-ე საუკუნის დამდეგს კუნძული გენერალი მადათოვის მფლობელობაში გადავიდა. მას, როგორც ოჯახის მეგობარს ორბელიანების მემკვიდრეებმა კუნძულიც დაუთმეს და სასახლის გვერდით არსებული მიწის ნაკვეთიც. იმ დროიდან თბილისელები კუნძულს მადათოვისას უწოდებდნენ. მსხმოიარე ბაღებით განთქმული კუნძული ახალი მეპატრონეების ხელში გაპარტახდა. მოგვიანებით იმათმა ბაღები გაჩეხეს, რადგან აქ მცირე საწარმოები დაეარსებიათ. ამით მათ კუნძულს სხვა ფუნქცია შეძინეს. გასული საუკუნის 30-ან წლებში მდინარის ტოტი ამოაშრეს და კუნძულმაც არსებობა შესწყვიტა.

(15) **4.** იმსჯელეთ <u>თანამედროვე სკოლის</u> შესახებ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მშობლისა და სკოლის ურთიერთობა;
- რამდენად არის ჩართული ჩვენი საზოგადოება სასკოლო ცხოვრებაში;
- რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ სკოლამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საზოგადოების ცხოვრებაში.

შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

გაითვალისწინეთ: *არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი* ***არ გასწორდება!***

შავი სამუშაოსათვის

II. ქართული ლიტერატურა

(5) **5. იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვკითხულობთ:**

მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, მიუძღუანოა სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეხმარების!“ ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“. და ჩუენ-ღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაი ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაი გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკვირდა, თუ რაისა-მე მიწესს ამას ჟამსა, და მივისწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს? მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს-იგი არა ჩემი ცოლი არს. იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაიცა რაი არს“. ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად, და მადლი მისცა ღმერთსა, და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად, და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.

1. *გადმოეცით* შუშანიკის სიტყვები, რომლებშიც ჩანს მისი დამოკიდებულება საერო დიდების მიმართ (ციტირება დაუშვებელია!).
2. *განმარტეთ,* საიდან ჩანს, რომ ვარსქენმა იცოდა – ხუცესი დედოფლის სენაკში იმყოფებოდა.
3. *განმარტეთ,* რას ნიშნავს სიტყვა „განკაფოს“.
4. *განმარტეთ,* რა ემოცია გამოხატა შუშანიკმა მაშინ, როდესაც გაიგო, რომ ვარსქენი სამკაულებს ითხოვდა.
5. *ამოიწერეთ* ვარსქენის სიტყვები, რომლებშიც ჩანს, რომ ის მეორედ არ დაქორწინებულა (არა უმეტეს სამი სიტყვისა).

(5) **6. ავთანდილი ეუბნება ვაზირს:**

„მეფე ანუ მისნი სპანი, ნეტარ, ხელსა რასა მხდიან!
აწ, ვითამცა უცნობოსა, გაუწყვედლად ცრემლნი მდიან.
სჯობს წავიდე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან;
ჭირნი, მისგან უნახავნი, დია, ვისმცა გარდუხდიან?!

აწ, ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?
რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს გაცვილდეს, არ გატინდეს;
ვერ გარდვიხდი ცრემლთა მისთა, ჯეონიცა თვალთა მდინდეს,
მომეხმარე, ნუთუ ჩემგან მოხმარება შენცა გინდეს!“

1. *დაასახელეთ* მიზეზი, რომლის გამოც ავთანდილი ვეღარ გამოადგება მეფესა და მის „სპას“ (ციტირება დაუშვებელია!).
2. *განმარტეთ,* რა ავალდებულებს ავთანდილს, რომ ტარიელის დასახმარებლად წავიდეს.
3. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ტარიელის მდგომარეობაა გადმოცემული.
4. *განმარტეთ,* რის თქმა სურს ავთანდილს სიტყვებით: „რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს გაცვილდეს, არ გატინდეს“.
5. *განმარტეთ,* რას ჰპირდება ავთანდილი ვაზირს.

(5) **7. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“:**

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რადა ჰცდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ. ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო?.. რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რადა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისათვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს.

1. *განმარტეთ,* ავტორის რა დამოკიდებულება ჩანს იმ ქართველთა მიმართ, რომელთაც სჯერათ: „ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო“.
2. *განმარტეთ,* რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა“.
3. *ამოიწერეთ,* რა არ არღვევს ლუარსაბის უშფოთველ ცხოვრებას (არა უმეტეს სამი სიტყვისა).
4. *განმარტეთ,* რა არის, ლუარსაბის აზრით, ადამიანის დანიშნულება.
5. *განმარტეთ,* ქართველი ადამიანის რა თვისებას აკრიტიკებს ავტორი ბოლო წინადადებაში.

(5) **8. პოემაში „გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველა აღწერს ფერისცვალებას, რომელიც განიცადა მინდიამ ქაჯთა საკვების გასინჯვის შემდეგ:**

გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა...
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თვითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“,
არა ზარობდენ სათქმელად.

1. *განმარტეთ,* ავტორის თქმით, რატომ იყო ფერისცვალებამდე მინდია „ბრმა“ და „ყრუ“ (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ სამყაროში საგნებსა და მოვლენებს გარკვეული უნარი აერთიანებს.
3. *დაასახელეთ,* მინდიას რა რეაქცია მოჰყვა მისსავე ფერისცვალებას..
4. *განმარტეთ,* კონკრეტულად რა ხერხს მიმართეს ქაჯებმა, რომ მინდიასათვის სიბრძნისადმი ზიარება არასასურველი ყოფილიყო.
5. *განმარტეთ,* რატომ სთავაზობდნენ ქაჯები მინდიას, გაესინჯა მათი საჭმელი (ციტირება დაუშვებელია!).

(5) **9. კოლაუ ნადირაძის ლექსში „25 თებერვალი, 1921 წელი“ ვკითხულობთ:**

მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.

1. *დაასახელეთ,* რას მიემართება სიტყვები „მშობელო დედავ“.
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც თავს დამტყდარი უბედურება შედარებულია მაცხოვრის ვნებებთან.
3. *დაასახელეთ,* რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მეოთხე სტრიქონში.
4. *განმარტეთ,* საზოგადოების რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სტრიქონში: „დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.
5. *განმარტეთ,* რა იგულისხმება სტრიქონში: „დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა“.

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?“:

I. ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
ვინ მენავეა?
იმისი ნავი სად დაცურავს ან სად აბია?
იგი ჩვენს ნავში როდის იჯდა?
და თუკი იჯდა,
თუ გარჯილა და ნავში წყალი თუ უხაპია?

II. სად იყო მაშინ, როცა ხეზე ავიდა ფითრი?
რად მივაჩნივართ ყველა ბრიყვებად.
ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
ის ხომ არ არის,
მისი სიმძიმით ვინც უთუოდ მოიდრიკება?

III. თუ მატიანის ფოლიანტზე არ გაიჭყლიტა,
რა ქნა ისეთი, რომ იმისთვის სხვა რამ მცირეა?
ო, ეკლის გვირგვინს იქნებ იგი ეპოტინება,
ვინც ხალხს ზვარაკად ვერასოდეს შეეწირება?

IV. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,
ვინც სხვებს ზევიდან
ისე დაჰყურებს, როგორც თაგუნებს?
ვისაც ჰგონია, რომ საქართველო
მისი რჩეული სიყვარულის ღირსია მხოლოდ
და გულზე ხელებს ვინც იბრაგუნებს?

V. მამულს თავისი სიყვარული რომ უწყალობა,
ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ...
არა ჰყოლია
უფრო ერთგული შვილი მამულს და მას ეკუთვნის
მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია.

VI. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვისი მახვილიც
უგნურება და უმეცრება არის რეგვენთა?
ვისაც ჰგონია, რომ ამაგი არ დაუფასეს
და ვისაც უნდა მის გარშემო შექმნას ლეგენდა?

VII. სად არის მისი აგებული სვეტიცხოველი?
თაყვანისცემით გაბერილმა პარანოიკმა
გულუბრყვილონი როგორ უნდა დაიმორჩილოს,
რომ განდიდების წყურვილი და ჟინი მოიკლას?

VIII. ო, ნუთუ იგი იმ იმედით დაიარება,
რომ გაჩუმდება და არავინ არაფერს იტყვის?
ვინც არის-მეთქი მხოლოდ სახელს დახარბებული,
ის ხომ არ იდგამს წამებულის ეკლიან გვირგვინს?

IX. ვინ ცდილობს ხალხი შეცდომაში რომ შეიყვანოს?
ვით შეიფერებს ეკლის გვირგვინს თავი სახედრის?
ამ ქვეყანაზე თავის ფუსფუსს,
თავის ღოღიალს,
თავის უბადრუკ არსებობას რატომ გვაყვედრის?

X. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც ქვეყანაზე
დაბადებული არის მლიქვნელად?
საითაც ქარი დაუბერავს, ვინც მხოლოდ იქით
გადაყვლეფილი სინიდისით გადიზნიქება?

XI. ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც კაცს გულგრილად
გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს?
ო, ეკლის გვირგვინს ვისი ხელი ეპოტინება,
რა უნდა მასთან ანგარებით დაკრუნჩხულ ხელებს?

XII. ო, ვინც განცხრომას ვერასოდეს ვერ შეელევა,
ტანჯვა არ იცის და ერთობა სხვებზე ქირქილით,
ის ხომ არ არის?
დააკვირდით...
ვის უნდა თავი,
რომ დაიმშვენოს წამებულის ეკლის გვირგვინით?..

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10.** ***რის*** **თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** „ნავში წყალი თუ უხაპია?“
ა) მიუძღვის თუ არა დამსახურება ნავის გადარჩენაში?
ბ) მიუძღვის თუ არა დამსახურება საზოგადოების წინაშე?
გ) შეიტანა თუ არა წვლილი ზღვიდან ადამიანების გამოყვანაში?
დ) შეიტანა თუ არა წვლილი საქართველოს საზღვრების გაფართოებაში?

(1) **11.** ***ვინ*** „ეპოტინება“ **III სტროფის მიხედვით** „ეკლის გვირგვინს“**?**
ა) ის, ვინც „მატიანის ფოლიანტზე“ მუშაობისას გადაღლილა.
ბ) ის, ვისაც საზოგადოებისათვის დიდი მსხვერპლი აქვს გაღებული.
გ) ის, ვისაც საზოგადოებისათვის მსხვერპლის გაღება არ შეუძლია.
დ) ის, ვისთვისაც საზოგადოება სრულიად არაფერს ნიშნავს.

(1) **12. V სტროფის მიხედვით, ავტორის *რა* დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში:** „ჩვენ მადლობ-ლები უნდა ვიყოთ...“
ა) აგრესიის შემცველი.
ბ) მადლიერებით სავსე.
გ) სარკაზმის შემცველი.
დ) სიყვარულით სავსე.

(1) **13. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია“.
ა) დაუშვებელია პატრიოტიზმი მხოლოდ ერთი ადამიანის პრივილეგია იყოს.
ბ) პატრიოტიზმი მხოლოდ ერთი ადამიანის პრივილეგია შეიძლება იყოს.
გ) პატრიოტმა „მამულს თავისი სიყვარული“ უნდა უწყალობოს.
დ) საზოგადოება მუდამ პატრიოტის მადლობელი უნდა იყოს.

(1) **14. *რა* შემთხვევაშია შესაძლებელი,** „რეგვენთა უგნურება და უმეცრება“ **იქცეს** „მახვილად“?
ა) როდესაც ვინმე ამგვარი ადამიანების უმეცრებას ამხელს.
ბ) როდესაც ვინმე მახვილით უსწორდება ამგვარ ადამიანებს.
გ) როდესაც ვინმეს ამგვარმა ადამიანებმა „ამაგი არ დაუფასეს“.
დ) როდესაც ვინმე წარმატებას აღწევს ამგვარი ადამიანების მეშვეობით.

(1) **15. ავტორის აზრით, *როგორ* პიროვნებას შესწევს ძალა ააგოს „სვეტიცხოველი“?**
ა) პიროვნებას, რომელსაც არ ძალუძს „დაიდგას თავზე ეკლის გვირგვინი“.
ბ) პიროვნებას, რომელსაც სურს „განდიდების წყურვილი და ჟინი მოიკლას“.
გ) პიროვნებას, რომელსაც სურს დაიმორჩილოს გულუბრყვილო ადამიანები.
დ) პიროვნებას, რომელსაც შესწევს ძალა „დაიდგას თავზე ეკლის გვირგვინი“.

(1) **16. *რა* უნდა მოიმოქმედოს საზოგადოებამ, თავიდან რომ აიცილოს VIII სტროფში აღნიშნული ხიფათი?**
ა) არ უნდა გაჩუმდეს და სიმართლე თქვას.
ბ) არ უნდა დახარბდეს სახელის მოხვეჭას.
გ) დაიდგას „წამებულის ეკლიანი გვირგვინი“.
დ) იმედითა და რწმენით შეხვდეს მომავალს.

(1) **17. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „გადაყვლეფილი სინიდისი“.
ა) სინდისზე ხელის აღებას.
ბ) სინდისით აღძრულ სინანულს.
გ) სინდისით გამოწვეულ ტანჯვას.
დ) სინდისის კარნახით ცხოვრებას.

(1) **18. *რა* სიმბოლური დატვირთვა აქვს ამ ლექსში** „ეკლის გვირგვინს“?
ა) იგი გამოხატავს იესოს მიერ გაწეულ ღვაწლს.
ბ) იგი გამოხატავს რწმენისათვის გაწეულ ღვაწლს.
გ) იგი გამოხატავს ოჯახისათვის გაწეულ ღვაწლს.
დ) იგი გამოხატავს ხალხისათვის გაწეულ ღვაწლს.

(1) **19. *რა* არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?**
ა) საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ უღირს ადამიანს დაუმსახურებელი პატივი არ მიეგოს.
ბ) საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ღირსეულ ადამიანს ტკივილი ყოველთვის აარიდოს.
გ) ჩვენს საზოგადოებაში ღირსეული ადამიანი დამსახურებულადაა დაფასებული.
დ) ჩვენს საზოგადოებაში ღირსეული ადამიანი ყოველთვის ჩრდილში დგას.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება,</u> *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მისთვის საყვარელი მიტოს მოსაძებნად წასული ანეტა მესაფლავე იაგორამ შეურაცხყო, რის შემდეგაც გოგონას დამბლა დაეცა:

ანეტა ცაცხვის ძირას იჯდა, ფეხები შალით ჰქონდა შეფუთვნილი და მიტოს უსმენდა:

– თბილისში წაგიყვან... ექიმებს დაგახვევ. აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება... ოღონდ... ოღონდ მაპატიე... მიყვარხარ, გესმის? კი არ მეცოდები, მიყვარხარ, – ამბობდა მიტო.

„აი, თურმე რა ყოფილა ჩემი ჯვარი“, – ფიქრობდა იგი. ბავშვობიდან იცოდა, ყველა ადამიანი თავის ჯვარს რომ ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამსახურებული, მაგრამ უკვე სხვათა საკუთრება. მამისაგან იცოდა ეს, მამამ შთააგონა, მაგრამ მამა ისე გარდაიცვალა, ვერ გაიგო, რა ჯვარს ეზიდებოდა იგი...

მამამისი კანცელარიის უბრალო მოხელე იყო, მთელი სიცოცხლე არზებსა და საჩივრებს ათეთრებდა, ოქმებითა და ბრძანებებით ჰქონდა თავი გამოტენილი და ნათესავებიცა და ნაცნობებიც ერთ უფხო, ხელმოცარულ კაცად თვლიდნენ. მიტომ ესეც ბავშვობიდანვე იცოდა და ბავშვობიდანვე იტანჯებოდა, რადგან მამას აღმერთებდა, მაგრამ, ამავე დროს, სხვა გიმნაზიელებივით, არ შეეძლო, თავი მოეწონებინა მამით. მათი ოჯახიც, ერთი შეხედვით, ოჯახად ითვლებოდა, ოდესღაც მდიდარი და სახელოვანი, გვარიშვილობით სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლებები არ იყვნენ, მაგრამ როცა სხვა ოჯახებში აულაგებლად იყო სუფრა გაშლილი და სტუმრე-

ბის განუწყვეტელი ჟრიამული იდგა, ამათ ოჯახში პირველად მოხვედრილ კაცს, მოსალოდნელი ანდა უკვე გადატანილი უბედურების მძაფრი შეგრძნება ეუფლებოდა. ასე ეგონა მიტოს, რადგან უპირველეს ყოვლისა თვითონ იყო ამ შეგრძნებით შეპყრობილი, იმასაც ხვდებოდა, მისი მშობლები უმწეონი რომ იყვნენ, ამ შეგრძნებისგან გაეთავისუფლებინათ იგი და დაშინებული თუ ბედს შეგუებული ადამიანების შემაძრწუნებელი მორჩილებით აგრძელებდნენ ცხოვრებას. იმის მაგივრად, რომ რამე ედონათ, მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ნათესავებისათვის დახმარება ეთხოვათ, დაუნანებლად, დაუფიქრებლად ყიდდნენ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, რათა შვილისათვის არ მოეკლოთ არაფერი, მათ შვილსაც კეთილშობილთა გიმნაზიაში ესწავლა და არ გამოკლებოდა ტოლ-ამხანაგებს.

მიტომ იცოდა, რა უჯდებოდათ მშობლებს მისი სწავლა-განათლება, რის ფასად უნარჩუნებდნენ ისინი შვილს ხალხში ტრიალის შესაძლებლობას და ყოველთვის ზედმეტად აღგზნებული და დაძაბული, თავგანწირულად სწავლობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, წიგნების მტვრითა ჰქონდა პირი გამოვსებული, მარტო იმიტომ კი არა, სხვებზე მეტი რომ ცოდნოდა, სხვებისათვის რომ ეჯობნა ცხოვრებაში, არამედ – თავისი ოჯახის უბედურების მიზეზს რომ ჩასწვდენოდა და დროულად ამოეცნო, რომელი ჯვრის მტვირთველი უნდა ყოფილიყო თავად, რომელ გოლგოთაზე აეტანა თავისი ჯვარი. „არავინ შეიჯავრო, შვილო, სიძულვილი გაგანადგურებსო“, – ეუბნებოდა დედა, თითქოს ხვდებოდა, მათ ოჯახში დაბადებული ბავშვი სიძულვილისათვის რომ უფრო იქნებოდა განწყობილი, ვიდრე სიყვარულისთვის. „ყველა საქმე ქვეყნისათვის საკეთილდღეო საქმეა, თუკი გიყვარს და თუკი კეთილსინდისიერად ემსახურებიო“, – ეუბნებოდა მამა, როცა თვითონ კალმისაგან ბებერები ჰქონდა თითებზე გაჩენილი ყოვლად უაზრო და უსარგებლო შრომისაგან, რადგან სხვებსაც, მასზე ახალგაზრდა მოხელეებს, მასზე სწრაფად შეეძლოთ არზებისა და უწყებების გადათეთრება, მაგრამ მამამისს ლამაზი ხელი ჰქონდა და ამის გამო ითმენდნენ ალბათ სამსახურშიც.

კანცელარიიდან რომ მობრუნდებოდა, ახლა სახლში მიუჯდებოდა მაგიდას და ისევ წერდა... რას წერდა, არავინ იცოდა. ცოლს ღიმილით იშორებდა, რა გინდა, თავს ვიქცევო და შუაღამემდე წერდა. ცოლი არასოდეს საყვედურობდა, თუმცა სანამ მისი მეუღლე „თავს იქცევდა“, მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილები შეუფერხებლად მაღლდებოდნენ ცხოვრების კიბეზე, ჩინ-მენდლებით იტვირთებოდნენ და დღითი დღე იმატებდნენ გავლენასა და პატივს. ეს კი, წერდა, თავაუღებლად, დაუზარებლად, ჯიუტად, თაბახს თაბახზე ავსებდა, სანამ სარკმელი არ გადათეთრდებოდა ხოლმე. მერე ნაწერს უჯრაში ჩაკეტავდა, სასწრაფოდ გადაიწერდა პირჯვარს, ხატისაკენ თვალგაქცეული, ლამპას ჩააქრობდა და წვებოდა, ერთი-ორი საათის მერე ისევ კანცელარიის მაგიდას რომ მიჯდომოდა და თავისი ლამაზი ხელით უსასრულოდ და კეთილსინდისიერად ეთეთრებინა ოქმები და ბრძანებები.

– რასაც შენ აკეთებ, ისიც საქვეყნო საქმეა? – ვერ მოითმინა ერთ დღეს მიტომ, მაგრამ ამით ახალი სატანჯველი და ახალი სანანებელი მიიმატა მხოლოდ.

მისმა შეკითხვამ მამამისი შეაკრთო, ოდნავ აუთრთოლდა კალმიანი ხელი, თქმით კი, არაფერი უთქვამს, დარცხვენილად თუ დამნაშავედ გაუღიმა შვილს და წერა გააგრძელა. მერე მიტო ოდესაში წავიდა, ახლა იქ ჩაეფლო წიგნებში და ერთფეროვნად გაიჭიმნენ უნივერსიტეტის ნაცრისფერ კედლებში სანახევროდ მშიერი სტუდენტობის წლები. „არაფერი გამომიგზავნოთ. მე კარგად ვარ, თავს მიხედეთო“, – წერდა იქედან მშობლებს, რადგან ძილის წინ, ერთი წამით რომ წარმოიდგენდა, რამხელა ტვირთად აწვა თავის ხელმოკლე ოჯახს, სიმწრისა და სიბრაზისაგან ლამის გული გასკდომოდა. მერე, მშობლების სიკვდილის მერე მიხვდა მიტო, რომელი ჯვარი ამოერჩია მამამისს, რომელ ჯვარს ეზიდებოდა ეს ჩუმი და შეუმჩნეველი კაცი, რომელსაც, მოწაფესავით, მთელი სიცოცხლე მელნით ჰქონდა თითები მოთხუპნული და რომელსაც ნათესავებიც ამადლიდნენ სალამს. როცა ოდესიდან დაბრუნებულმა მიტომ მღელვარებისგან ათრთოლებული ხელით გახსნა მამის უჯრა და მისი ნაწერები ამოიღო, პირველად გაოცებისგან პირი დააღო. მერე ნაწერის სილამაზემ, სისუფთავემ და სისადავემ ააფორიაქა და დიდხანს იდგა ასე, მამისეულ მაგიდასთან. ერთ ხელში სტამბურად გამოცემული „ქილილა და დამანა“ ეჭირა, მეორეში კი, იგივე წიგნი, ოღონდ მამის ხელით გადაწერილი.

ახლაც, მაკაბელების ცაცხვების ძირას გაჩერებულს, რატომღაც მამის ნაწერი დაუდგა თვალწინ და ეს პატარა გოგო, ტლანქი ვნებით გადათელილი, დაკნინებული და დადამბლავებული, მართლაც გავდა რაღაცით მამამისის ლამაზი ხელით გამოყვანილ ქართულ ასოებს, რაღაცით კი არა, სისადავით, სიმსუბუქითა და სინათლით, და უკვე მტკიცედ იცოდა, ეს რომ იყო მისი ჯვარი, შალით ფეხებშეფუთვნილი და შემარიგებლად მომღიმარი გოგო. სხვას თუ ვერაფერს უშველიდა, ბორბლებიან სავარძელში უნდა ჩაესვა და იმასთან ერთად შესდგომოდა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი გოლგოთისაკენ მიმავალ გზას. ეს იყო მისი მოვალეობა, თუკი ვერ გადაარჩინა, ახლა აღარ უნდა მიეტოვებინა იგი და მოევლო და ეპატრონა, როგორც მა-

მამისი უვლიდა და პატრონობდა ქართულ კალიგრაფიას, როცა სხვას ადარავის ეცალა საამისოდ.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10. *რა* შთააგონა მიტოს მამამისმა?**
ა) იზრუნოს თავის მოვალეობაზე და არ ზიდოს მისთვის განკუთვნილი ჯვარი.
ბ) იპოვოს თავისი მოვალეობა და კეთილსინდისიერად აღასრულოს იგი.
გ) იზრუნოს მხოლოდ დღიურ საჭიროებებზე და არ იფიქროს მოვალეობაზე.
დ) იპოვოს თავისი მოვალეობა და იზრუნოს დღიურ საჭიროებაზე.

(1) **11. *რატომ* თვლიდნენ ნაცნობები და ნათესავები მიტოს მამას** „ერთ უფხო, ხელმოცარულ კაცად“**?**
ა) იმიტომ, რომ ცდილობდა მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებას.
ბ) იმიტომ, რომ გავლენიან ნათესავებს სთხოვდა დახმარებას.
გ) იმიტომ, რომ კანცელარიის უბრალო მოხელე იყო.
დ) იმიტომ, რომ მათსავით სახელოვანი გვარიშვილი არ იყო.

(1) **12. ბავშვობაში მიტოს *რა* სულიერ განცდას იწვევდა მამის მდგომარეობა?**
ა) შიშს, რადგან ეგონა, მამა ვერ შეძლებდა მისთვის განათლების მიცემას.
ბ) გულგრილობას, რადგან მისთვის სულერთი იყო მამის მდგომარეობა.
გ) არასრულფასოვნების განცდას, რადგან არ შეეძლო მამით ეამაყა.
დ) სიამაყეს, რადგან შეეძლო მამის მდგომარეობით თავი მოეწონებინა.

(1) **13. *რა* უმთავრესი მიზანი ამოძრავებდა მიტოს, როდესაც სწავლაში** „დღე და ღამეს ასწორებდა“**?**
ა) ცოდნის მეშვეობით გაერკვია საკუთარი ადამიანური მოვალეობა.
ბ) ცოდნის მეშვეობით ეჯობნა გიმნაზიელი თანატოლებისათვის.
გ) ცოდნის მეშვეობით მოეპოვებინა მატერიალური კეთილდღეობა.
დ) ცოდნის მეშვეობით მოეპოვებინა მშობლების პატივისცემა.

(1) **14. *რომელ* ციტატაშია გამოყენებული მეტაფორა?**
ა) „დაუზარებლად, ჯიუტად, თაბახს თაბახზე ავსებდა“.
ბ) „კალმისაგან ბებერები ჰქონდა თითებზე გაჩენილი“.
გ) „წიგნების მტვრითა ჰქონდა პირი გამოვსებული“.
დ) „სანამ სარკმელი არ გადათეთრდებოდა ხოლმე“.

(1) **15. *რატომ* შეაკრთო მამა მიტოს შეკითხვამ –** „რასაც შენ აკეთებ, ისიც საქვეყნო საქმეა?“
ა) იმიტომ, რომ თავისი შეკითხვით შვილი მამისადმი პატივისცემას გამოხატავდა.
ბ) იმიტომ, რომ მამა თვლიდა, მისი შრომა მართლაც უსარგებლო იყო.
გ) იმიტომ, რომ მამამ შვილის შეკითხვაში გულგრილი დამოკიდებულება იგრძნო.
დ) იმიტომ, რომ მამამ შვილის მიერ დასმულ შეკითხვაში ირონია იგრძნო.

(1) **16. *რა* არის მიტოს მამის ხასიათის განმსაზღვრელი ნიშანი?**
ა) ისტორიულ-კულტურული ტრადიციების ღრმა პატივისცემა.
ბ) პროფესიისადმი პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობით მიდგომა.
გ) ბედს შეგუებული ადამიანისათვის დამახასიათებელი უნაყოფობა.
დ) საზოგადოებაში მიღებული ცხოვრების წესის ერთგულება.

(1) **17. ოდესიდან დაბრუნების შემდეგ *რამ* შეცვალა მიტოს დამოკიდებულება მამის მიმართ?**
ა) იმის გააზრებამ, რომ მამა თურმე კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა.

ბ) იმის გახსენებამ, რომ მამას „ნათესავებიც ამადლიდნენ სალამს“.
გ) იმის გაგებამ, რომ მამამ უმნიშვნელო სამსახურში გაატარა ცხოვრება.
დ) იმის განცდამ, რომ მამის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო.

(1) **18. *რით* არის ძვირფასი მიტოსათვის „დაკნინებული და დადამბლავებული“ ანეტა?**
ა) მიტო განიცდის დანაშაულის გრძნობას ანეტას წინაშე.
ბ) მიტოს სურს, ანეტას მოვლით საკუთარ ცხოვრებაზე შური იძიოს.
გ) მიტოს სურს, ანეტას პატრონობით ბავშვობის ცოდვა გამოისყიდოს.
დ) მიტოს ანეტამ ცხოვრების უმთავრესი აზრი და მიზანი აპოვნინა.

(1) **19. *რა* არის მოცემული ტექსტის უმთავრესი აზრი?**
ა) ადამიანისათვის ცხოვრების მიზნის პოვნა და მისი აღსრულებაა მთავარი.
ბ) ადამიანისათვის ნებისმიერი ხერხით საზოგადობაში თავის დამკვიდრებაა მთავარი.
გ) ადამიანისათვის პირადი და ოჯახური კეთილდღეობის მოპოვებაა მთავარი.
დ) ადამიანისათვის დაჩაგრული ადამიანის პოვნა და მასზე ზრუნვაა მთავარი.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>**ნაწერი არ გასწორდება,**</u> *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

IV ვარიანტი

I. ქართული ენა

1. 1. – ვ); 2. – თ); 3. – დ); 4. – გ).
2. I შეცდ. 2, 4, 5, 7; II უშეცდ. 1, 3, 6.

3. სანამ მტკვარი ჯებირებში მოექცეოდა, დედაქალაქში რამდენიმე დიდი თუ მცირე კუნძული იყო, რომლებიც თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. მათ შორის სიდიდით გამოირჩეოდა ვორონცოვის ხიდთან მდებარე კუნძული. იგი დიდი ხნის განმავლობაში ორბელიანების საკუთრება იყო.

მე-19 საუკუნის დამდეგს კუნძული გენერალ მადათოვის მფლობელობაში გადავიდა. მას, როგორც ოჯახის მეგობარს, ორბელიანების მემკვიდრეებმა კუნძულიც დაუთმეს და სასახლის გვერდით არსებული მიწის ნაკვეთიც. იმ დროიდან თბილისელები კუნძულს მადათოვისას უწოდებდნენ. მსხმოიარე ბაღებით განთქმული კუნძული ახალი მეპატრონეების ხელში გაპარტახდა. მოგვიანებით იმათ ბაღები გაჩეხეს, რათა აქ მცირე საწარმოები დაეარსებინათ. ამით მათ კუნძულს სხვა ფუნქცია შესძინეს. გასული საუკუნის 30-იან წლებში მდინარის ტოტი ამოაშრეს და კუნძულმაც არსებობა შეწყვიტა.

4.

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	*ქულები*
1.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე.	**3**
2.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული.	**2**
3.	ტექსტი ორგანიზებულია, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან დავალება ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	**1**
4.	ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 ნაწერი არ სწორდება**

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	*ქულები*
1.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული სამივე მითითება და ***გამყარებულია*** შე-საბამისი მაგალითებით.	**4**
2.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება და მესამე – ნაწილობრივ.	**3**
3.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ერთი მითითება და ორი – ნაწილობრივ.	**2**
4.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული სამივე მითითება ან ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება, მაგრამ ერთი მითითება არ არის დასაბუთებული.	**1**
5.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული მხოლოდ ორი მითითება და მესამე არ არის დასაბუთებული ან დასაბუთებულია მხოლოდ ერთი მითითება, დანარჩენი ორი არ არის დასაბუთებული.	**0**

III. კრიტერიუმი

№	ორიგინალური აზროვნება და ზოგადი განათლება	*ქულები*
1.	ნაშრომში გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათ-ლება.	**1**
2.	ნაშრომში არ გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათლება.	**0**

IV. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	**3**
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	**2**
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	**1**
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	**0**

V. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	**3**
2.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	**2**
3.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	**1**
4.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	**0**

VI. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	**1**
2.	დაშვებულია სამზე მეტი შეცდომა.	**0**

II. ქართული ლიტერატურა

5. შუშანიკის დამოკიდებულება საერო დიდების მიმართ ჩანს მის სიტყვებში, ეს სამკაულები ამ ცხოვრებაში აღარ მჭირდებაო. ვარსქენმა „ყრმაი ერთი“ ხუცესს დედოფლის სენაკში გაუგზავნა. სიტყვა „განკაფოს“ ნიშნავს – გაცვითოს (მოიხმაროს). შუშანიკს გაუხარდა, როდესაც გაიგო, რომ ვარსქენი სამკაულებს ითხოვდა. „მერმეცა იპოოს ვინმე“.

1. სამკაულები აღარ მჭირდებაო ——————————————————————————————1ქ.
2. დედოფლის სენაკში გააგზავნა მონა ხუცესის დასაბარებლად——————————————1ქ.
3. გაცვითოს ——————————————————————————————————————1ქ.
4. გაუხარდა ——————————————————————————————————————1ქ.
5. „მერმეცა იპოოს ვინმე“ ——————————————————————————————1ქ.

6. ავთანდილ იმიტომ ვეღარ გამოადგება მეფესა და მის „სპას“, რომ სულიერი წონასწორობა დაკარგული აქვს. ავთანდილმა ფიცით აღუთქვა ტარიელს, რომ დაბრუნდებოდა მასთან. ტარიელის მდგომარეობა გადმოცემულია სტრიქონში – „ჭირნი მისგან უნახავნი, დია, ვისმცა გარდუხდიან?!“ ჩემებრ ტანჯული, რკინაც კი დარბილდებაო. ავთანდილი ჰპირდება ვაზირს, რომ საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს მას.

1. სულიერი წონასწორობა დაკარგული აქვს ——————————————————————1ქ.
2. მასთან დაბრუნებას დაჰპირდა ——————————————————————————1ქ.
3. „ჭირნი მისგან უნახავნი, დია, ვისმცა გარდუხდიან“ ——————————————1ქ.
4. ჩემებრ ტანჯული, რკინაც კი დარბილდება ——————————————————1ქ.
5. დახმარებას——————————————————————————————————1ქ.

7. ამ მონაკვეთში ჩანს ავტორის ირონიული (სარკასტული, დამცინავი) დამოკიდებულება იმ ქართველთა მიმართ, რომელთაც სჯერათ: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზე მოდებული, ის ბედნიერია. ავტორი გულისხმობს, რომ ლუარსაბი უზნეო პიროვნება იყო. ლუარსაბს უშფოთველ ცხოვრებას არღვევს „ფიქრი და ზრუნვა“. ლუარსაბის აზრით, ადამიანის დანიშნულებაა სმა-ჭამა და ძილი. ავტორი ბოლო წინადადებაში აკრიტიკებს ქართველი კაცის უდარდელობას, ქარაფშუტობას.

1. ირონიული ——————————————————————————————————1ქ.
2. უზნეო პიროვნებაა ——————————————————————————————1ქ.
3. ფიქრი და ზრუნვა ——————————————————————————————1ქ.
4. სმა-ჭამა და ძილი ——————————————————————————————1ქ.
5. უდარდელობას ——————————————————————————————1ქ

8. მინდია ფერისცვალებამდე „ბრმა“ და „ყრუ“ იმიტომ იყო, რომ ბუნების სრულყოფილი აღქმის უნარი არ ჰქონდა. „ყველასაც თურმე ენა აქვს“. მინდია გააოცა საკუთარმა ფერისცვალებამ. ქაჯებმა მინდიას სიბრძნე გველად მოაჩვენეს. ქაჯებს სურდათ, მინდიას კერძის გასინჯვის სურვილი არ გასჩენოდა.

1. *ბუნების ენა არ ესმოდა ——————————————————————————1ქ*
2. ყველასაც თურმე ენა აქვს ——————————————————————————1ქ
3. გაოცდა ——————————————————————————————————1ქ
4. სიბრძნე გველად მოაჩვენეს ——————————————————————1ქ
5. რომ ამ კერძის გასინჯვის სურვილი არ გასჩენოდა ——————————1ქ

9. სიტყვები „მშობელო დედავ“ მიემართება სამშობლოს. „ისევ წამების ჯვარი აგკიდეს“. მეოთხე სტრიქონში გამოყენებულია მეტაფორა. ამ სტრიქონში გამოხატულია ხალხის მწუხარება (ელდა, თავზარდაცემა). ამ სტრიქონში იგულისხმება, რომ ბრძოლა დამთავრდა.

1. სამშობლოს ——————————————————————————————————1ქ
2. „ისევ წამების ჯვარი აგკიდეს“ ——————————————————————1ქ
3. მეტაფორა ——————————————————————————————————1ქ
4. მწუხარება ——————————————————————————————————1ქ
5. ბრძოლა დამთავრდა ——————————————————————————————1ქ

წაკითხულის გააზრება

10. *ბ)* ----------*1ქ.* **11.** *გ)* ----------*1ქ.* **12.** *გ)* ----------*1ქ.* **13.** *ა)* ----------*1ქ.* **14.** *დ)* ----------*1ქ.*
15. *დ)* ----------*1ქ.* **16.** *ა)* ----------*1ქ.* **17.** *ა)* ----------*1ქ.* **18.** *დ)* ----------*1ქ.* **19.** *ა)* ----------*1ქ.*

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტება*	*მაქსიმალური ქულა*
I	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და ტექსტის სიღრმისეული გააზრება.	**4**
II	ნაშრომის აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების პირობის სამივე მითითების შესრულება, მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**3**
III	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო ტექსტური მასალით.	**6**
IV	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ნაშრომში უნდა გამოიყოს ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა უნდა დასაბუთდეს სათანადო მაგალითებით.	**2**
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, ზოგადი განათლება.	**3**
VI	ფაქტობრივი შეცდომები	ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	**1**
VII	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად გამართული იყოს.	**2**
VIII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**2**
IX	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**2**

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	**4**
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	**3**
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	**2**
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	**1**
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. *დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.*	**3**
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**2**
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**1**
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	**2**
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	**1**
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის ***გამოყოფილი*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	**0**

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	**0**

VIII *კრიტერიუმი*

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	**2**
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	**1**
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	**0**

IX *კრიტერიუმი*

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**0**